საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/5512
14/08/2026

5512-01-2-202608140939

ფ/პ ლევან ნუცუბიძეს (პ/ნ 37001054215)

მის: თბილისი, გლდანის მასივი, I მიკრო/რაიონი, კორპ. 12, ბ. 83
ელ-ფოსტა:. Levannutsubidze1997@gmail.com
ტელ: 550 00 01 69

როგორც თქვენთვის ცნობილია, „მოქალაქე განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე“ სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 4 მაისის №04/681 ბრძანებით დაიწყო საქმის შესწავლა ფ/პ ლევან ნუცუბიძის (პ/ნ 37001054215) (შემდგომში - მოვაჭრე) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

საქმის შესწავლის დასრულებამდე, მოვაჭრემ სააგენტოს შესთავაზა პირობითი ვალდებულების აღება, რომლითაც დაევალებოდა სავაჭრო პოლიტიკის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და იმ მომხმარებელთა უფლებების აღდგენა, რომელთაც სავარაუდოდ, მოვაჭრის სავაჭრო პოლიტიკის შედეგად ზიანი მიადგათ. სააგენტომ განიხილა კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოფხვრის მიზნით მოვაჭრის მიერ შეთავაზებული პირობითი ვალდებულებები და მიიჩნია, რომ ვალდებულებების შესრულების შედეგად აღარ იარსებებს კანონის სავარაუდო დარღვევის რისკი, შესაბამისად, დაეთანხმა შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს და „მოვაჭრე ფ/პ ლევან ნუცუბიძის მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე საქმის შესწავლის დასრულების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 29 მაისის №04/825 ბრძანებით დაასრულა მოვაჭრის მიმართ დაწყებული საქმის შესწავლა მოვაჭრის მიერ კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე. აღსანიშნავია, რომ მოვაჭრის მიერ პირობითი ვალდებულების აღების თაობაზე სააგენტოსა და ფ/პ ლევან ნუცუბიძეს (პ/ნ 37001054215) შორის გაფორმებული 2026 წლის 27 მაისის შეთანხმებით მოვაჭრეს ვალდებულებების შესასრულებლად განესაზღვრა 1 (ერთი) თვე.

მოგახსენებთ, რომ 2026 წლის 27 მაისის შეთანხმებით განსაზღვრული 1 თვიანი ვადის გასვლის შემდეგ, მოვაჭრეს სააგენტოსთვის არ წარმოუდგენია პირობითი ვალდებულების

აღების თაობაზე შეთანხმების პირველი მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია თანდართული მტკიცებულებებით.

ამასთან, კანონის 33-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია ხელახლა დაიწყოს საქმის შესწავლა, რომლის ვადა 1 თვეს არ უნდა აღემატებოდეს, თუ:
ა) მოვაჭრე თავის მიერ ნაკისრ პირობით ვალდებულებებს სააგენტოს მიერ მასთან დადებული წერილობითი შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს;
ბ) პირობითი ვალდებულებები მოვაჭრის მიერ მიწოდებულ მცდარ, არაზუსტ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას ეფუძნება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონის 33-ე მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სააგენტომ დაიწყო საქმის ხელახალი შესწავლა სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 13 აგვისტოს №04/1282 ბრძანების საფუძველზე.

ასევე, გთხოვთ, კანონის 28-ე, 30-ე, 32-ე მუხლებისა და სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის პირველი, მე-2 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მოგვაწოდოთ თქვენი ამჟამინდელი სავაჭრო პოლიტიკა (მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის ურთიერთობის წესები და პირობები) და მომხმარებლის უფლების აღდგენის დამადასტურებელი მტკიცებულება.

შეგახსენებთ, რომ სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მხარეს უფლება აქვს ჰყავდეს წარმომადგენელი; სააგენტოს წარუდგინოს პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე; გაეცნოს საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით; მოითხოვოს ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება; განაცხადოს აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ.

დანართი: „1“ ფურცელი.

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/1282
13.08.2026

ბრძანება

1282-01-4-202608131219

ფ/პ ლევან ნუცუბიძის (პ/ნ 37001054215) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე საქმის შესწავლის ხელახლა დაწყების შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 33-ე მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტებისა და მე-12 მუხლის მე-7 პუქნტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. ხელახლა დაიწყოს საქმის შესწავლა მოვაჭრის ფ/პ ლევან ნუცუბიძის (პ/ნ 37001054215) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
3. საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე ეცნობოთ მხარეებს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის 2026 წლის 12 აგვისტოს №03/1350 მოხსენებითი ბარათი

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე